რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზია-ში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკა

დღესასწაულის გამო, სამშაბათს გაზეთი არ გამოვა.

L'ART AU CAUCASE
par
J. Mourier.
Cet ouvrage in-folio formera environ trente livraisons illustrées contenant des gravures sur bois, des lithographies, des photogravures, des chromolithographies.
prix: 25 roubles.
Les 10 premières livraisons ont paru.
Comme pour toutes les éditions de luxe, le tirage de cet ouvrage étant très limité, on souscrit chez M. Baerenstam libraire à Tiflis. (1—1)

Librairie Baerenstam Tiflis.
LA MINGRÉLIE
par
J. Mourier.
Cet ouvrage de luxe, tiré seulement à cent exemplaires, formera un volume in—16, de 450 pages, et contiendra des chromolithographies et 80 gravures.
Les deux premières livraisons ont paru.
prix: 10 roubles. (1—1)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

23 სექტემბერს.

**პეტერბურგი.** ტურგენიევის ცხედარს დღეს მოასვენებენ ვერჟბოლოვში, სადაც წავიდა გუშინ სტასიულევიჩი, რომელიც დასაფლავების კომისიისგან არის ამორჩეული, ცხედრის მისაღებლად და პეტერბურგში მისაცილებლად; 27 სექტემბერს დაასაფლავებენ.

რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოებას მიუღია ნიჟე-გოროდის იარმარკის მოვაჭრეთაგან წერილი, რომლითაც თხოულობენ დაწესდეს ფინანსთა სამინისტროში ვაჭრობის, ქარხნების და ფაბრიკების მრეწველობის საკუთარი წარმომადგენლობა.

გარდუწყვეტელ გადასახადთა დეპარტამენტის მიწერილობით იმპერატორის თავისუფალი ეკონომიური საზოგადოება ოქტომბერში დაიწყებს სჯას იმაზე, თუ რა ზომები იხმარონ სასოფლო-სამეურნეო არყის ხდის წარმატებისათვის და რა ცვლილებანი მოახდინონ სასმელების გარდასახად წესდებაში.

ოქტომბრიდამ დაიწყებენ ყოველ თვე ბეჭდვას პეტერბურგის სლავიანურ ქველ-მოქმედი საზოგადოების ცნობებისას.

**ორიოლი.** საბჭომ გადასწყვიტა: ითხოვოს ნება-რთვა მთელს იმპერიაში ხელ-მოწერით ფულის შეკრებისა ტურგენიევის ძეგლის ასაშენებლად ორიოლში, სადაც განსვენებული დაიბადა.

**პარიჟი.** სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ტიბოდენმა, შეიტანა სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ მიიღო.

### თბილისი, 24 სექტემბერს.

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ მოსალოდნელ ომზე და საზოგადოდ ევროპიულ სახელმწიფოთა ერთი-ერთმანერთთან დამოკიდებულებაზე. უმრავლესობას ომი შესაძლებლად მიაჩნია და ეს გარემოება, რასაკვირველია, გვიმტკიცებს, რომ ევროპიელთა სახელმწიფოთა შორის არსებობს დიდი უთანხმოება ზოგიერთა საქმეების გამო და ერთი-ერთმანერთის დაუნდობლობა. ამისათვის ყველანი ემზადებიან საომრად და ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, რომ მზა-მზარეულად მიეგებონ სასტიკს ბრძოლას და დაიცვან საკუთარი ინტერესები და დამოუკიდებლობა; ზოგიერთნი ამასაც არა სჯერდებიან და მოწადინებულნი არიან სხვებს რაიმე ზარალი მისცენ და მათი ინტერესები დაარღვიონ, თუნდაც ეს ინტერესები კანონიერნი იყვნენ. თავიანთ წადილის შესასრულებლად ზოგიერთა სახელმწიფონი სცდილობენ უთანხმოება ჩამოაგდონ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის და მოიპოვონ თავიანთთვის მომხრენი, გაჭირვების დღეში საჭირონი. მერმედ კი, შესაძლებელია, რომ დღევანდელი მომხრე და მშველელნი ერთმანერთს გადაეკიდონ და მოსისხლე მტრებათ გახდნენ.

ასე და ამ გვარად თანამედროვე პოლიტიკა ატრიალებს ხალხთა ბედ-იღბალს და მოქმედობს უმეტეს ნაწილად წინაალმდეგ მათის ეროვნულის და ეკონომიურის ინტერესებისა. თითქმის ყოველივე უბედურება, რომელიც სწვევია კაცობრიობას, არის შედეგი ზემოდ აღწერილ წეს-წყობილებისა, რომელიც დღეის იქითაც იჩენს თავის ძალას, არა-ერთხელ შეღებავს სამართლიანობას სისხლის ფერად, ტანჯვა-ოხვრას გაამრავლებს. ერთის სიტყვით, ამ ჟამად გარშემო ჰაერში აღის თოფის წამლის სუნი და თვალ წინ სისხლით შეღებილი ველები წარმოგვიდგება.

რასაკვირველია, ვისაც კარგად ესმის კაცობრიობის ინტერესები, მწარე ფიქრებით არიან აღვსილნი და გვიქა-

«დროების» ფელტონი, 25 სექტემბ.

## ხალხური ლექსები

ბ-ნი ი. მეუნარგიასაგან ალავერდში შეკრებილთაგანი.

... ბოგო, შენს მოღალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა,
ომში შეტანილი ხმალი
მარაკშიაც გაუტყდესა;
იალბუზის მინდორზედა
ნიავლვარიც აუდგესა,
წყალ ძლიერ მოწყურებულსა
წყაროს წყალიც დაუშრესა;
ბოგო, შენს მოღალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა.

—

მატილში ხოხობ გადიდდა
დიდგულად დაჯდა ჯარზედა,
შვიდნი მოზარდნა წიწილნი
არწივის ნაბუდარზედა,
შვიდთა იარაღ უყიდა,
ჯაჭვებ ჩააცვა ტანზედა,
საფშაოთ გამოისტუმრნა,
ხელ დაჰკრა მუზარადზედა.
ახალს ბოდერძის ციხეო
მოგიხდებიან კარზედა,
მანდით ქალს გამოიყვანენ
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა;
ახადზედ ჩამოავლიეს
გახდეს მათურის მთაზედა,
წინ დათიაურ შემოხვდა
ამბავსა ჰკითხავს გზაზედა:
ეგ ქალ საიდამ მოგყავისთ,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა?
ეს ქალ ახადით მოგვყავის
უნდ მატირს დავსვათ ჯარზედა.
შვიდთ იმათ, მარტო ფშაველმა
ხელებ გაიკრეს ხმალზედა:
«თუ თქვენ ეგ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხავის ყბაზედა!»
შამოურბინა ფშაველმა,
თავ გასჭრა საჩქაროზედა,
შვიდთავ ფრანგულებ ჩამოხსნა
სისხლი გადადის მკლავზედა.
შვიდთავ წაართვა თოფები
ერთს ქალს დაჰკიდა მხარზედა.
ქალ უკვენ გამოაბრუნა:
«მშვიდობით, დაო, გზაზედა
ნუ იტყვი ჩემსა სახელსა,
ვიყნოდეთ და-ძმობაზედა;
მამას ბოდერძის უთხრობდი
ქალ მე დავხოცენ გზაზედა
მატილს უთხრობდით ხოხობსა,
დეებჯინოდი ქვაზედა,
უფროს შვილს დააქორწილებ
უსცროსებ დასვი ჯარზედა».
ახად დასწყია ხოხობმა:
«ქვამც ნუ დებულხარ ქვაზედა».

—

მოდი თუ მომავალი ხარ,
მომწყინდა შენი ლოდინი,
თუ არ მოსულხარ დროზედა
მიწამ დაგიგოს ლოგინი.

## კვირის საუბარი.

გაუგებარი საქმე.—ჩემი საუბარი მასზე მეგობართან.—მიშჩენკოს გამართლების საბუთები და მათი საფუძვლიანობა.—ჩემი გაუგებლობა.—ბ. თუთბერიძე და მისი რაინდული ქცევა.—ზნეობითი მხარე ბ. თუთბერიძისა.

წინანდელ ფელტონში, მახსოვს, წინ-დაუხედავად წამომცდა რაოდენიმე სიტყვა, რომელმაც ეხლა, რაკი დავაკვირდი სხვა-და-სხვა გარემოებებს, ცოტათი არ იყოს ჩამაფიქრა... მე ვსთქვი, მაგალითად, რომ მუყაითად მოვეპყრობი ჩემს მოვალეობას მეთქი და «განსაკუთრებით ვეცდები, რომ ეგრედ წოდებული სიმართლის სასწორი სინიდისიანად მეჭიროს მეთქი ხელში». ეს დაპირება ეხლა მაინცდა-მაინც არაფრად მომდის ჭკუაში. განა მეძნელება თუ?—არა, მეტი არ შემეჭამოსთ მიწამ, მაგრამ, რაღაც «ნიშანში არ მოდის», როგორც ამბობენ იმერელი გლეხები. რა არის ვითომ მიზეზი ამ გარემოებისა;—მე არ შემიძლიან მოგახსენოთ! «არ მოდის ნიშანში და არა!»—სხვა, ასე გასინჯეთ, არაფერი არ ითქმება ამ მიზეზის შესახებ.

აი, მაგალითად, ავიღოთ მაშარსკის და მიშჩენკოს საქმე, რომელზედაც ეხლა მთელი თბილისი ლაპარაკობს. ყველასათვის ეს საქმე თურმე დღესავით ნათელია, ჩემთვის კი... მე, თუ გნებავსთ მომკალით, არაფერი არ მესმის მასში. ჩემთვის საქმეც ბნელია, სასამართლოს შეხედულობაც გაუგებარია და, თვითონ ამ საქმის გმირები, ესე იგი ბბ. მოწმებიც ახირებული ხალხი არის. ბრალდებულ მიშჩენკოზე ხომ სულ ვერაფერს ვერ ვიტყვი: ის, როგორც იყო ჩემთვის გამოცანად, ისევ იმავე გამოცანად დარჩა. ასე გასინჯეთ, ისიც არ შემიძლია ვსთქვა მასზე გადაწყვეტით: გული უდევს მას მკერდში, თუ უბრალო რიყის ქვა. ვიცი მხოლოდ, რომ ის დაბადებულა დაღესტანში, გაუგონია რაღაცა პატიოსნებაზე, მაგრამ რა არის ეს პატიოსნება, საუბედუროთ, ვერ გაუგია კარგად. ამის გარდა, ვიცი კიდევ, რომ... მაგრამ, ჰე, თევზისა არ იყოს, ცოტა რამე ვიცი? მაგრამ მარტო ჩემთვის ვიცი და სხვებს ვერ გავუზიარებ.

—მაშ, რა გამოსადეგია შენი ცოდნაო?—მკითხავთ. არაფერი, ბატონებო! სარგებლობას სხვისთვის მე მასში არა ვხედავ და, რაც შემეხება მე თვითონ—ჩემთვისაც უსიამოვნობის გარდა მასში არაფერი მოიძებნე-

დიან ისეთს დროს, როცა ხალხთა შორის უთანხმოება და განხეთქილება მოისპობა არა თოფის და ზარბაზნების საშუალებით, არამედ ძმურის მორიგებით და სიმართლით. ეს ნეტარი დრო ჯერ-ჯერობით ჩვენზე შორს არის და ძალა-უნებურად უნდა მოუბრუნდეთ რისხვით სავსე აწმყოს, რომელიც მძიმე ტვირთად აძევს ტანჯულს კაცობრიობას.

პოლიტიკოსებს უფრო საიმედო საშუალებად მიაჩნიათ კარგად და რიგზე მოწყობილი მხედრობა, რომლის წარმატებისათვის ზრუნავენ ყოველს წამს; ისინი აძლიერებენ მხედრობას და ამისათვის არა ზოგვენ არც ხალხის სიმდიდრეს, არც მის თავისუფლებას. ყველა სახელმწიფოები ათვალიერებენ თავიანთ ჯარების რაზმებს, ასუფთავებენ სისხლის მღვრელ იარაღებს და ქვეყნის სიმდიდრეს ხმარობენ მხედრობის გასაძლიერებლად; მთელს ევროპას ამ ჟამად კლანჭები გალესილი აქვს ერთი-ერთმანერთის მოსაგერებლად და გასაქელავად.

ერთი საქმეთ წყობილება სჩაგრავს ხალხის სულიერს და ეკონომიურს წარმატებას, რადგანაც ხალხის ძალღონე, მისდა დაუკითხავად, ერთს საქმეზედ არის მიპყრობილი; როცა სახელმწიფო ორგანიზმის ერთს რომელიმე მხარეს ეძლევა უპირატესობა, სხვა კანონიერნი მოთხოვნილებანი ხალხისა რჩებიან დაუკმაყოფილებელნი; მაგალითად, თუ ქვეყნის სიმდიდრის უმეტეს ნაწილს მოიხმართ მხედრობის გასაძლიერებლად, მაშინ, უეჭველია, ხალხში გაძლიერდება სილატაკე, უმეცრება თავის აუცილებელი შედეგებით; მთელს ხალხს, აზრს, მეცნიერებას და მწერლობას დაიმორჩილებს მხედრობის ძალა, რომელიც სჩაგრავს ხალხის და საზოგადოების თვით-მოქმედების ნიჭსა და თავისუფლებასა.

ეარეთი ევროპაში ბისმარკი ყველაზე უფრო მტკიცედ მოეკიდა მხედრობის გაძლიერების საქმეს და იმ ზომამდე მიიყვანა მთელი სახელმწიფო, რომელსაც იგი განაგებს, რომ ერთ სამხედრო ბანაკად აქცია იგი და გულცივად ემუქრება თავის მოპირდაპირეებს. არსად ევროპაში ისე ძლიერი არ არის მხედრობისადმი პატივისცემა, როგორც გერმანიაში, რომლის ცხოვრების ყოველს მხარეს დასდებია მხედრობის ფერი და ხასიათი. თვით ბისმარკს ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიუძღვის; მან სხვებზე უკეთ შეიგნო გერმანიის პოლიტიკის მიმდინარეობა და ბევრად გადააჭარბა თავის წინაპრებს და მოძმეებს. პრუსიის საზოგადო და სახელმწიფო ნიადაგი ერთობ ნაყოფიერი იყო ამ გვარის მიმართულებისათვის; ახალს და ძველს პრუსიაში ისეთი წეს-წყობილება იყო, რომელმაც დაჰბადა ძლიერი მხედრობა; თვით ფრიდრიხ-ვილჰელმის დროიდამ დაწყებული ჩვენ ვხედავთ რომ, პრუსიის მმართველობა მოწადინებული იყო გაეძლიერებინა იგი. ფრიდრიხ-ვილჰელმმა, რომელმაც დასდო საფუძველი პრუსიის ხალხის განათლებისა, მოაწყო ეს უკანასკნელი ისეთს რიგზედ, რომ მან დაჰკარგა წმინდა პედაგოგიური ხასიათი და მიიღო პოლიტიკური ფეროვნობა. სახალხო სკოლას უნდა აღეზარდა არა ნამდვილი მამულისშვილი, არამედ მტკიცე და ყურმოჭრილი მონა და ქვეშევრდომი. შემდეგ იგივე მიმართულება სახალხო განათლებისა განაძლიერეს ნემეცურმა პედაგოგებმაც, რომელთაც, თუმცა გაავრცელეს სახალხო განათლება, მაგრამ მოაკლეს მას ის ხასიათი, რაც მას უნდა ჰქონდეს პედაგოგიური მეცნიერების ძალით. იგივე მიმართულება თან-დათან ძლიერდებოდა პრუსიაში და გზას იკაფავდა საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში.

სახალხო განათლების ამ გვარმა მიმართულებამ დიდი სამსახური გაუწია გერმანიის გაერთებას, მაგრამ დიდი ვნებაც მოუტანა. საფრანგეთთან ომიანობის წინად სახალხო სკოლებში შეგირდებს ყურში აწვეთებდენ ფრანცუზებისადმი სიძულვარეს; შეგირდებს ასწავლიდენ უაზრო პატრიოტულ სიმღერებს და აქეზებდენ მომავალ მეომრებს სხვა ტომის წინააღმდეგ. სასწავლო სახელმძღვანელოები სავსენი იყვნენ ცრუ ცნობებით შესახებ პრუსიის დანიშნულებისა; სკოლაში სახმარი გეოგრაფიის სიტყვით, პრუსიის საზღვრებში მოქცეულნი იყვნენ შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია და ალზას-ლორენი. მართალია, პრუსიამ სძლია საფრანგეთი, მაგრამ ისეთი თესლი დასთესა, რომელიც მასვე გაუმწარებს სიცოცხლეს. ბისმარკის მიმართულება სუფევს ამ ჟამად მწერლობის უმეტეს ნაწილში, უმაღლეს საზოგადოებაში და მეცნიერების ზოგიერთა წარმომადგენელთა შორის; ასე გასინჯეთ, ზოგიერთა პროფესორებიც კი, რომელნიც შინაურ საქმეებში ბისმარკს ეწინააღმდეგებიან, მის გარეშე პოლიტიკას ამართლებენ და სისხლის ღვრასა ჰქადაგებენ. მხოლოდ თვით ხალხში სუფევს უკმაყოფილება, რის გამოც ბევრნი სტოვებენ სამშობლო ქვეყანას და შორს მიილტვიან.

ცნობილი პრუსიელი პროფესორი ვაგნერი ამ უკანასკნელ ხანებში თავის კათედრის სიმაღლიდამ ჰქადაგებს, რომ გერმანიისაგან [illegible] პოლიტიკა ვითომც და საუკეთესოა; სამხედრო მიმართულება, იმის მოსაზრებით, კარგად მოქმედებს ხალხის სულიერს წარმატებაზე და სიმდიდრეზე. აი, რა წერტილამდის მიიყვანა პოლიტიკამ პრუსიაში თვით მეცნიერების წარმომადგენელნიცა. მეცნიერება და მისი ტაძარი შეურაცყოფილია მეცნიერების მოსამსახურეთაგან, რომელნიც, ძმობის და ერთობის ქადაგების მაგიერ, ამართლებენ სისხლის ღვრას და სცდილობენ ხალხთა შორის სიძულვარე ჩამოაგდონ.

## შინაური ქრონიკა

19 სექტემბერს ოზურგეთში ერთი საწუხარი ამბავი მომხდარა: სიმეს თავის ცოლის ძმა თოფის კონდახის დაკვრით მოუკლავს. მიზეზი ამ ამბისა ჯერ არ ვიცით, გვწერს კორესპონდენტი. მოკლულის ჯვარის ამოსაყრელად გასულიყო იმისი ძმა, მაგრამ მკვლელს ისიც იქვე წაექცია; მერე მამა მიშველებოდა, მაგრამ ვერც-რა იმას ექნა. ამ ამბავზედ მოგროვებულან მაზრის უფროსი, გამომძიებელი, პოლიციის პრისტავი და მკვლელი დაუჭერიათ. რადგან ოლქის სასამართლო ამ ჟამად ოზურგეთში იმყოფება, მაზრის უფროსს უთხოვნია თავმჯდომარისთვის ეს საქმე ეხლავე გაირჩეს.

ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, რომ იმერეთში, სოფელს წეგაში, სასაფლაო შიგ შუა სოფელშია და ჭირს ახდენსო; ისიც მოვიხსენიეთ, რომ ამ სოფელს მღვდელის ლუკა მეღ-

---

ბა: დავდივარ მთელი დღე დაფიქრებული, ცხვირ-ჩამოშვებული და უხეიროდ ვშლი აქეთ-იქით ხელებს.

სწორედ ამ გვარ სასაცილო მდგომარეობაში ვიყავი, როცა ამ დღეებში, ქუჩაში, შემხვდა ერთი ჩემი ახირებული ნაცნობი და თავისებურად, დაცინვით შემომძახა:

— «დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!»—და თანაც დაუმატა: არა, ხუმრობას გარეშე, რა დაგმართვია, კაცო, რომ აგრე ჩამოგიყრია ფრთები.

მეც ვისარგებლე ამ მშვენიერი შემთხვევით და მივაგებე ათასნაირი კითხვები, რომელნიც მე მოსვენებას არ მაძლევდენ.

—მოცლილი ხარ?--დავეკითხე ჯერ.

— სრულებით!

— არსად მიეჩქარები?

— სრულიად არსად!

— შემიძლიან მაშ მოგცე რამოდენიმე კითხვა?

— თუ გინდ ერთი ურემი! ინებეთ და ბძანეთ: მე ყურს გიგდებ. მაშინ მეც მივიხედ-მოვიხედე აქეთ-იქით, ავათვალიერ-დავათვალიერე გამვლელ-გამომვლელები და, რაკი დავრწმუნდი, რომ სამხედრო წოდებისა არავინ იყო ახლო-მახლო, ჩუმად მოვყევი:

— ამიხსენი ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს: როგორ და რისთვის გაამართლეს ბ. მიშჩენკო? დაამტკიცეს, რომ მას კაცი არ მოუკლავს, ან მოჰკლა, მაგრამ უეცრად, ე. ი. წინათვე მოსაზრებული არ ჰქონდა ეს სიკვდილი, თუ სასამართლომ სხვა რამე მძიმე საბუთები იპოვა, რომლის გამო არ შეეძლო არ გაენთავისუფლებინა კაცის მკვლელი? ეს ყოველიფერი ჩემთვის გაუკებარია და მიუწდომელი. თუ იცი პროცესის გარემოება და ამიხსნი ყოველ ამას, დიდად დამავალებ.

ჩემმა მოსაუბრემ მოლოშა წარბები, დაანაოჭა შუბლი, გააქნია თავი ღრმა მოსაზრების ნიშნად და მხოლოდ ამის შემდეგ მიპასუხა:

— ვიცი კი არა, ზედ-მიწევნითა მაქვს შესწავლული მთელი პროცესი. თვითონ იქ ვიყავი (მიმითითა სასამართლოზე), მოვისმინე ჩვენებაც, ბრალდებულის და დამცველის სიტყვაც, სასამართლოს განაჩენიც და, დასასრულ, თვით საზოგადოების აზრიც ამ საქმეზე. ერთის სიტყვით, ეს საქმე ჩემთვის დღესავით ნათელია, როგორც ნათელია აგრეთვე სასამართლოს განაჩენის სიმართლე და გამჭრიახობა.

— მაშ, აბა, რასშია საქმე?

— აი, რასშია, ჩემო ბატონო! ნამდვილია, რომ მიშჩენკომ მაშარსკი მოჰკლა, ნამდვილია აგრეთვე, რომ ეს მკვლელობა უეცრად მოხდომილი არ იყო. ამას ამტკიცებს მაშარსკის მიპატიჟება მიშჩენკოს სახლში, რევოლვერის ძებნა ამ უკანასკნელისაგან და აგრეთვე ზოგიერთი სხვა გარემოებანი, რომელნიც წინ მიუძღოდენ მკვლელობას. ხოლო რაც შეეხება მაშარსკის, ყველასათვის ჭეშმარიტია აგრეთვე, რომ მას ამ საქმეში არაფერი დანაშაულობა არ მიუძღოდა, რომ ის, ამ უგუნურის საქმის დასაწყისიდამ მის დაბოლოებამდის, თოვლსავით სპეტაკი იყო. გაუპატიურებაზე თუ ვიტყვით, პირ-იქით, თვითონ მაშარსკი იყო გაუპატიურებული, ყოველისფერი უბედურობა მას დაატყდა თავზე: ის კიდეც გალახეს, გალანძღეს, გაათრიეს სახალხოდ და, დასასრულ, მისმა მოწინააღმდეგემ კიდეც დააგვირგვინა თავისი ვაჟკაცობა მით, რომ, შერიგების მაგიერ, რისთვისაც მიიწვია თავის სახლში, უეცრად რევოლვერი ახალა გულში. ეს, ვიმეორებ, ყოველიფერი მართალია, მაგრამ, მიუხედველად ამისა, სასამართლოსაგან მიშჩენკოს გამართლება მაინც გონიერი და წინდახედული მოსაზრებაა...

— როგორ? რისთვის?—დავეკითხე მე განცვიფრებით.

— «როგორ? რისთვის?»-დაცინვით გაიმეორა მეგობარმა ჩემი სიტყვები და მემრე წყრომით განაგრძო: მისთვის, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ სასამართლოს აზრით, რომელიც, ვფიქრობ, ყოველი პატიოსანის და სამართლიანის კაცის აზრიცაა, ამისთანა საქმეებში უნდა მიექციოს განსაკუთრებითი ყურადღება არა მარტო საქმის გარემოებათ, რომელნიც ხშირად სრულიად არაფერს არ მოასწავებენ, არამედ თვითონ მოქმედ პირთა ვინაობას, მათ შეხედულობას საგანზე, მათ ჩვეულებათა და სხვას. ამ უკანასკნელ პირობებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვსთ ამ შემთხვევაში...

ჩემმა მესაუბრემ ამას კიდევ სხვა ბნელი და გაუგებარი ფრაზები დაუმატა, დაუმატა რაღაც განსაკუთრებითი სიმტკიცით, თითქო უნდოდა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ მასშია დაფარული მიუწდომელის მისაწდომელი იარაღი. მაგრამ, რადგანაც ჩემთვის მისი ფრაზები ცოტა გაუგებარი დარჩა, მე ხელახლად მივუბრუნდი ჩემს მეგობარს და გულ-გახსნით გამოვუტყდი, რომ ამ რაღაც ახირებულის თვისებისა, რომელიც ზოგს ასე იფარავს და ზოგს კი ღუპავს, არაფერი მესმის მეთქი და ამისთვის არ შეიძლება უფრო გარკვევით და უფრო განმარტებით ამიხსნათ,—რა საბუთები მისცა ზემოხსენებულმა თვისებამ, მაგალითად, ბ. მიშჩენკოს, რომელიც კეთილ-შობილთ დასს ეკუთვნის და, ამის გამო, როგორც თქვენ ბძანებთ, მის მფარველობას არ იყო მოკლებული? მეგობარმა წყნარის, მაგრამ შემბრალე, თანაგრძნობით გადმომხედა მე, თითქოს სწუხდა ჩემთვის, რომ მე, მისი მეგობარი, რომელიც მას სულ მიუხდომელ კაცად არ მივაჩნდი, ეგრეთი «აბუჩა» რამე ვყოფილვარ და მემრე, ამ კაცთ-მოყვარულ საქციელის შემდეგ, მოჰყვა ზე-

რამეს მიუვიდა მიწერილობა ბლაღოჩინისაგან სასაფლაოს გადატანაზე, მაგრამ არაფერი იზრუნაო. ახლა გვწერენ: თუმცა მღვდელმა, მიწერილობის მიღების შემდეგ, ბევრი უქადაგა ხალხს ზოგი გარეთ, ზოგი ეკლესიაში სასაფლაოს გადატანის საჭიროებაზედ, მაგრამ ხალხი გაჯიუტებულა, ვერ შეუგნია კარგად მღვდლის სიტყვების მნიშვნელობა და ასე უთქვამს თუნდა ჩვენი სასაფლაო მოგვიშლიაო, ან გადაგვიტანია სადმე, თუნდა ჩვენი ბინადრობა აგვიფურტქნია და გადავსახლებულვართო.

ფილოქსერის პარტიას გაუსინჯავს თ. ივ. მუხრან-ბატონის ვენახები ციხის-ძირში, დამწალში, მუხრანში, ელისაბედის ფერმაში, ჩანგილარში, აგრეთვე გენერლის სტაროსელსკის ვენახები საგურამოში და არსად ფილოქსერა არ ამოუჩენია. ეს პარტია ეხლა მცხეთისკენ გამგზავრებულა (კავკ.).

იმავე გაზეთს სწერენ ახალ-სენაკიდამ, რომ იქ სამეგრელო სასულიერო სასწავლებლის რევიზიას მოელიან. სამღვდელოების კრებაზედ იქ აპირებს თურმე მისვლას საქართველოს ეგსარხოსი პაველ. ამ ქალაქზედ გზად გაივლის აგრეთვე ზუგდიდში მიმავალს ქუთაისის გუბერნატორს სმეკალოვს.

«ბაქოს უწყებებში» დაბეჭდილია წერილი ერთის პირისა, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რა აუარებელი სიმდიდრეა ნავთის ბაქოს არემარეში და როგორ აუკაცურად ეგიდებიან ამ სიმდიდრეს სხვა-და-სხვა გაუმაძღარნი პირნი: ერთის ნავთის შადრევანი, რომელიც ეკუთვნის ამხანაგობას, «დრუჟბა», ერთს დღესა და ღამეს ისვრის თურმე სამას ათასს ფუთის ნავთს; აქედამ მხოლოდ 100,000 ფუთი იყიდება, 100,000 ფუთი ტბებში იყრის თავსა და 100,000 ფუთი კი სრულიად იკარგება. ნავთის ფასმა დაიწია ნახევარ კაპეიკამდე ფუთზედ, მაგრამ ხან კაპეიკის მესამედის მძლეველიც არსად არის. საკვირველი ეს არისო, ამბობს წერილის ავტორი, რომ ამ შადრევნის გვერდით სხვა ნავთის წყაროების პატრონები ნახევარ კაპეიკად მზა-მზარეულის ნავთის ყიდვას, იმას არჩევდენ, რომ თავიანთ წყაროებიდამ ამოელოთ, თუმცა იითო ფუთის ამოღებაც ნახევარ კაპეიკზედ იაფად არ უჯდებოდათო; ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ხსენებული კაპიტალისტები ნავთს არაფერს ფასს არა სდებენ და ეს ბუნების სიმდიდრე მართლა და ულეველი ჰგონიათო, ან ამას ჰფიქრობენ—მე ხომ გავმდიდრდები და მერე თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუღარ იქნებაო!

სურამიდამა გვწერენ: ჩვენში წრეულს ეკლესიების რევიზია იყო, მაგრამ ეს რევიზია რევიზიას არა ჰგავდა: ბბ. რევიზორები შებძანდებოდენ საყდარში, გადაათვალიერ-გადმოათვალიერებდენ შესავალ-გასავლის წიგნებს და ყველა მამები «განსპეტაკებულნი» ჩნდებოდენ, ის კი, თუ რა დამოკიდებულება აქვსთ ხალხთან სულიერ მამებს, რა თვალით უცქერის ხალხი მათ, ასრულებენ იგინი თავიანთ წმინდა მოვალეობას ხალხისადმი, თუ არა და სხვა-და-სხვა ნამდვილი ჭკვიანური სარევიზიო კითხვების გამოკვლევა რევიზორებს უყურადღებოდ დარჩათ.

კარგი იქნებაო, გვწერს იგივე კორესპონდენტი, რომ ჩვენს «არისტოკრატს მოსამართლესაც» რევიზია გაუკეთდესო, თორემ ხალხი მეტად შეწუხდა ამის დაუდევრობისაგანაო. თურმე გაცხარებულ მუშაობის დღეს, როდესაც მუშა კაცს ერთის საათის დაკარგვაც ეზარება, იბარებს ეს მოსამართლე მოჩივრებს, თუ მოწმებს, დილის 9 საათისათვის და თითონ კი 12-ს საათზედ გამობძანდება საქმის გასარჩევლად, და აუარებელ ხალხს აცდენს. თითქო საგანგებოდ, იქვე «სუდის» პირ-და-პირ გამოჭიმულა დუქანი და უსაქმობით და მოსამართლის ლოდინით გაბეზრებული ხალხი შედის ამ დუქანში და იცარიელებს ჯიბეს.

იქიდამვე გვწერენ: ამ ზაფხულობით წარმოდგენები და კონცერტები ხშირი იყო, თუმცა მაყურებლები ყოველთვის უკმაყოფილნი გამოდიოდენ; ბოლოს რის ვაი-ვაგლახით და წვალებით საქველმოქმედო განზრახვით სურამის სცენის მოყვარეებმა ქართული წარმოდგენაც გამართეს; ამ წარმოდგენას თურმე წარმოდგენის ფერი ჰქონდა.

როგორც გავიგე ერთის «აქტიორის» (რომელსაც სურამში ყველა იცნობს) ყველა წარმოდგენიდგან შემოსული ფული აუწაპნავს და როდესაც სადოდაგ გასირს ანგარიში მოუთხოვნია და ანგარიში საეჭვოდ გამხდარა, ბედკრული გასირი უკადრისად გაუსტუმრებია.

## რუსეთი

— პეტერბურგის ექიმებს შეუკრებიათ ფული, რომლითაც მედიცინურს აკადემიაში ერთს სტუდენტს შეინახავენ მთელი კურსის განმავლობაში. ამ სტუდენტს ტურგენიევის პანსიონერი ეწოდება.

— ფაბრიკის და ქარხნების მეპატრონეებსაც განუზრახავთ ტურგენიევის სახელზე ერთ რომელსამე ტეხნიკურს სასწავლებელში სტიპენდია დაარსონ ღარიბი მუშების შვილებისათვის.

— პომისიის გამოანგარიშებით, ტურგენიევის დამარხვაზე დაესწრობა 10—15 ათას კაცამდე. 150 გვირგვინია ეხლავე მომზადებული იმ დღისთვის.

— გაზ. «რუსკი კურიერს» ატყობინებენ, რომ მმართებლობითი სენატის პირველს დეპარტამენტს ამ დღეებში ერთი ფრიად საინტერესო კითხვა განუმარტავს იმის შესახებ, თუ რა ფაქტებია საჭირო იმისთვის, რომ «პოლიტიკურად არა-კეთილ-საიმედო» პირად იცნას კაცი და რა უნდა იგულისხმებოდეს ამ სიტყვით? სენატს გადაუწყვეტია, რომ «პოლიტიკურად არა-კეთილ საიმედო» შეიძლება ეწოდოს მხოლოდ იმ პირს, რომელიც ელტვის ეხლანდელ სახელმწიფო საზოგადოებრივის და ეკონომიურის წყობილების დარღვევას, და არა იმას, რომელიც ცდილობს ამ წყობილების ზოგიერთა მხარეების გასწორებას და გაუმჯობესობას.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს მოშალოს ეხლანდელი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი. ამაზე პროექტიც შეუდგენიათ სამინისტროში, რომელიც, თანხმად ამავე პროექტისა, ხელს მოუწყობს და დაეხმარება ახალთა საზოგადოებათა შედგენას, უმეტეს ნაწილად, მაზრებში და არა ქალაქებში. რაც შეეხება ეხლანდელს სასოფ-

---

მოხსენებულ საბუთების ჩამოთვლას.

— უნდა გამოგიტყდე, — დაიწყო მან,—რომ მე არ მეგონა შევხვდებოდი იმისთანა კაცს, რომლისათვისაც ზემო-მოყვანილი საბუთები, იმის შემდეგ, რაკი მან გაიცნო მიშჩენკოს უკანასკნელი სიტყვა, კიდევ გაუგებარი დარჩებოდა. ყველა საბუთები და მისი სიმართლის დამტკიცებანი მეტად გარკვევით და დალაგებით არის მასში მოხსენებული... აი ეს საბუთები: პირველად ის რომ, მიშჩენკო დაღესტანშია დაბადებული და, მაშასადამე, როგორც თვითონ ბძანებს, არ შეეძლო უმიზეზოდ კაცის მოკვლა. თვითონ მიხვდები, რომ ეს საბუთი მეტის-მეტად საფუძვლიანია, ასე რომ მარტო ის შეიძლებოდა ჰყოფნოდა მისს ავტორს თავის გასამართლებელად, მაგრამ მან არ იკადრა მარტო ერთი საბუთით თავის გაძვრენა სასჯელისაგან და უხვად გამოაფინა სხვებიც. «მე ოფიცერი ვარო»,—ბძანა დამნაშავემ!!!

მე ამ საუბრის შემდეგაც მაინც ისევ ისე მიუხდომელი დავრჩი მიშჩენკოს საქმის შესახებ, როგორც ვიყავი მანამდის. ამისათვის მე გადავსწყვიტე შევისწავლო, როგორც რიგია, ბბ. ბრალდებულის და დამცველის სიტყვები, განსაკუთრებით ბ. დამცველისა, რომლის მჭევრ-მეტყველობა და ლოლიკა საარაკოდ გახდა ქალაქში და მერე, თუ რამე საინტერესო ვნახე მათში, ვაცნობო «დროების» მკითხველებს.

*
* *

მაგრამ, თუ გნებავთ იცოდეთ, რა არ არის ჩვენთვის გასაგებარი—ეს ბ. თუთბერიძის ზნეობითი მხარეა. ეს ის ბ. თუთბერიძე ბძანდება, რომელმაც ასე უსირცხვილოდ შეაცდინა «დროების» რედაქცია და მისგანვე უსინიდისოდ შეთხზულ ზღაპრით მოინდომა თავის ცოლის და სიმამრის სახალხოდ გალანძღვა და გაუპატიურება. ეს ვაჟბატონი მართლა რომ ღირსია უფრო დაახლოვებით შესწავლისა და გაცნობისა. თავის მოკატუნებით და შებრალებით მან არა თუ დაარწმუნა ჯერ რედაქცია და მერე საზოგადოება, რომ ის რაღაც უბედური მსხვერპლი იყო თავის ცოლის და სიმამრის ხელში, არამედ კიდეც გამოიწვია იგინი თვისის უფლების დასაცველად. იარაღი, რომელიც იხმარა თუთბერიძემ ამ მიზნისთვის, მეტის-მეტად საგულისხმო და შესანიშნავია. ეს იარაღი—ურიცხვი ცოცხალი სიცრუეა, რომელსაც, ჩვენის ხალხისა არ იყოს, და როგორც დაამტკიცა ამ საქმემ, მართლა რომ არა ჰქონია გძელი ფეხები. რამდენიმე დღის შემდეგ გამომჟღავნდა თავის თავად, თუ რა ვაჟბატონი ბძანებულა ბ. თუთბერიძე. უადგილო მორიდებას თავი რომ დავანებოთ და ამ უსინიდისო საქმის ჩამდენს თავისი შესაფერი სახელი მოვუნახოთ,—ეს ის თანამედროვე გმირია, რომელსაც პატიოსნებაზე ხელ-აღებულნი ჭკვიან კაცს ეძახიან და პატიოსანი ხალხი კი «ქულიკს» უწოდებს. ეს უცხოენის სიტყვა ნამდვილი გამომსახველია ბ. თუთბერიძის ზნეობითი თვისების და ღირსებისა. სხვა სახელი არ დაერქმევა იმ კაცს, რომელიც ბეჭდვით ავრცელებს ხმას, რომ ძალათ დამწერეს ჯვარიო, რომ ჩემ სურვილს და წინააღმდეგობას კაცმა ყური არ ათხოვაო, დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ვითომ წინააღმდეგობის სხვა-და-სხვა გარემოებას, ვრცლად გვიხატავს საზარელ ძალდატანების სურათს, ასახელებს მოწმებს, რომელთა შორის ბევრი საზოგადოებაში ცნობილი და პატივცემული პირებია გარეული და, საბოლოოდ, ამ ამბავს ჰსჩადის რისთვის? მისთვის, რომ შეატყობინოს მისგანვე მოტყუებულს საზოგადოებას, რომ არაფერი ამ გვარი ნამდვილი არა მომხდარარა, რომ ძალდატანებითი ჯვარისწერა, აგრეთვე როგორც მისი მომყოლი გარემოებანი, წინდავე განზრახულის აზრით არის შეთხზული და შედგენილი. რა გვარია ეს აზრი,—ყველას შეუძლიან გამოიცნოს ჩვენდა დაუხმარებლად. მღვდლის ზაქარია ძიკნაძის, ზემოხსენებული «ქულიკის» ბედკრული სიმამრის, წერილში, რომელიც იყო დაბეჭდილი «დროების» 177 №, გარკვევით არის ნაჩვენები ეს აზრი. ამ წერილიდამ ჰსჩანს, რომ სანამ ჯერ მზითვის ფული მიღებული არ იყო, და მიღების შემდეგ, შეჭმული, თუთბერიძის აზრი «ძალდატანებაზე» სულ სხვაგვარი იყო. ის იმდენს არა ჰსწუხდა ამ ძალდატანებაზე, როგორც სხვა უფრო სასიამოვნო კითხვებზე, მაგალითად: «ვიცმუნდირში ჰსჯობია ჯვარის-წერა, თუ ფრაკშიო?» თავს იმტვრევდა თურმე ეს ქვიშხეთელი გმირი და გალაპლაპებულ რკინასავით მხურვალე წერილებს ზედი-ზედ უგზავნიდა თავის საცოლოს. ამასთანავე, როგორც შეჰფერის წინდახედულ საქმროს, სხვა ამ გვარივე პრაქტიკული კითხვებიც არ ჰქონდა დავიწყებული: მეჯვარეს მოძებნა, მზითვის ზეს მიღება და სხვა,—სულ თავის დროზე იყო მოფიქრებული და გადაწყვეტილი კიდეც.

ამ გვარია ბ. თუთბერიძისაგან ჩადენილი საქმე, რომელიც ჩვენ, მეტიანეს ვალდებულობის გამო, არ შეგვეძლო დაგვეგდო უყურადღებოდ და რომელიც—ვამბობთ ამას დაბეჯითებით—ძვირფასს მასალას შეადგენს ჩვენის დროების მომავალის ისტორიკოსისა და დამკვირვებელისათვის. ეს უკანასკნელი ამ გვარ მოვლენის უმთავრესს მიზეზს, ჩვენის ცხოვრების ათას ნაირ პირობების გარდა, რასაკვირველია, მიაწერს აგრეთვე იმ პირობებსაც, რომელნიც გამოწვეულნი არიან ჩვენის ეგრედ წოდებულის თანამედროვე აღზრდის და განათლების სისტემით.

ლო-სამეფონი საზოგადოებათა,—რომელიც მადგანი მომავალ 1884 წლამდინ არ წარმოადგენს ცნობებს შესახებ თვისის მოქმედებისა, გაუქმებულად შეირიცხება.

— ხმებია, რომ იუსტიციის მინისტრი სტატ-სეკრეტარი ნაბოკოვი მიილებს კანონთა დეპარტამენტის თავს-მჯდომარის ალაგს, რადგანაც ეხლანდელი თავს-მჯდომარე, სტარიცკი, დაბრმავდა; ნაბოკოვის ალაგს სახელმწიფო სეკრეტარს პოლოვცევს მისცემენო.

— ნოვოჩერქასკიდამ იწერებიან რუსკი კურიერში, რომ აქაური გიმნაზიის მთავრობას უმთავრესი ყურადღება დისციპლინაზე აქვს მიქცეულიო; შეგირდებს გამოუცხადეს ყოველთვის ფორმით იყვნენო: ზურგზე წიგნების ჩასაწყობი უნდა ეკიდოთ და წიგნები უთუოთ ყდიანი უნდა იყვნენ; შეგირდები მოვალენი არიან პატივი მისცენ ოფიცრებს და ჩინოვნიკებს, რომელნიც გზაზე შეხვდებიან, და თუ გენერალი შეხვდათ უნდა დადგნენ და გამოიჭიმნენ; ყველას, თითქმის ახლო ნაცნობებსაც კი, სალამი უნდა აძლიონ «მხედრულად», ესე იგი მარჯვენა ხელი წინ ქუდზედ უნდა დაიდონ. ამასთანავე გამოუცხადეს, რომ ვინც ყოველსავე ამას არ შეასრულებს, გიმნაზიიდამ გამორიცხავენ.

## უცხოეთი

— როდესაც გლადსტონი კოპენჰაგენში იყო, ახალმა ბულგარიის სამინისტროს თავს-მჯდომარემ, ცანკოვმა, მისწერა მას ტელეგრამა, რომელშიაც, სხვათა შორის, მადლობას აცხადებს ლორდ გრენვილზე, რადგანაც ამ უკანასკნელმა შემწეობა გაუწია იმ საქმეს, რომლის წარ... მადგენელიც ცანკოვი იყო. ამასთანავე ცანკოვი იმედს აცხადებს, რომ ინგლისი არ დასტოვებს ბულგარიას, როდესაც იგი დაიწყებს ბრძოლას სრული დამოუკიდებლობისათვის. ამას გაზეთები იმასაც უმატებენ, რომ ბულგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი ამ დღეებში მიმართავს სახელმწიფოებს წერილით, რომელშიაც მოსთხოვს კონგრესის ანუ კონფერენციის მოხდენას ბულგარიის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად.

— პარიზიდგან იწერებიან გაზეთებში, რომ გლადსტონის და რუსეთის იმპერატორის ერთმანერთის ნახვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სტამბოლში. ოსმალეთის ოფიციალურს გაზეთებს გამოეცხადა, რომ ინგლისის წინაამდეგ წერილები აღარა ბეჭდონ. სულეიმან-ბეი ბერლინში მიდის. ჰფიქრობენ, რომ იმას მინდობილი აქვს შეიტყოს ბისმარკის აზრი შესახებ ოსმალეთის შუა ევროპის სახელმწიფოებთან შეკავშირებისა. ხმებია, ვითომც განზრახვა ჰქონდეს რუსეთს ითხოვოს სომხეთისათვის ისეთი მდგომარეობა და კონსტიტუცია, როგორიცა აქვს მინიჭებული აღმოსავლეთ რუმელიას.

— საფრანგეთის ჯარების მანევრები ისე მოსწონებიათ, რომ ეხლა ზოგიერთა გაზეთები თამამად ლაპარაკობენ,—საფრანგეთის ჯარს ვერც ერთი სახელმწიფოს ჯარი ვერ შეედრება დისციპლინაში და მარდს მოძრაობაშიო.

## განცხადებანი

—


ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

**ქიუზარიანცს**

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამკურნალო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ.

(14—1)

კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზი

საყოველთაო საცნობლად აცხადებს, რომ ვადა-გასული მოძრავი გირაოები, ე. ი. ვერცხლის, ოქროსი და სხვა გვარი ძვირფასი ნივთები, რომელნიც დაგირავებულნი იყვნენ 1882 წლის სექტემბრის 1-ლიდგან ამ წლის თებერვლის 1-ლამდის, იქნებიან აუქციონით გასყიდულნი ხსენებულს პრიკაზში.

ვაჭრობა დაიწყობა ოქტომბრის 8-გან და იქნება ყოველ შაბათობით. ამის გამო ნივთების პატრონებს უმორჩილესად სთხოვენ დაგირავებული ნივთები გამოისყიდონ, ან ხელ-ახლად გადააგირაონ.

(3—1)

მე დავკარგე თბილისსა და ქუთაისს შუა ატესტატი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ მოცემული. მპოვნელსა ვსთხოვ წარმოადგინოს იმერეთის ეპარხიის კანცელარიაში და საჩუქარს მიიღებს. ბესარიონ კობახიძე.

(3—1)

სასტუმრო (გოსტინიცა)

**,,იტალია"**

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—7)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, მოზრდილ ყრმათათვის (დამატებას «ბუნების კარისა»), შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ექვსი შაური; ვინც ერთად იყიდის ათს ეგზემპლიარსა, წიგნი ხუთ შაურად დაუთმობა.

დედანი ქართული წერისა, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, იბეჭდება და სამომდგომოთ მზად იქნება. დედანს თან მოჰყვება სანწერი რვეულები, ლიტოგრაფიაში დაბეჭდილნი და შიფრის ფიცრები ბადით, რომელნიც შეკვეთილნი არიან გერმანიაში.

(10—9)

სავლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსწორმასწორო ქაღალდი. ერთად-ერთი, სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე ათარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოკელის ,,ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაქსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკებისთვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმის ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ.

(100—88)

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ა ქ ე თ ა მ ხ რ ი ს რ კ ი ნ ი ს გ ზ ა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მმართველობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის წასვლა-წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, იმ მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დადიან—მცხეთის მოგზაურნი არ მიიღებიან.

30 სეკტემბერს

| თ ბ ი ლ ი ს ი დ ა მ | მ ც ხ ე თ ი დ ა მ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს

| | | | |
|---|---|---|---|
| დ ი ლ ი ს ა | 7 საათზე 12 მინუტზე | დ ი ლ ი ს ა | 8 საათ. 21 მინ. |
| | 9 საათზე 15 მინუტზე | | 10 საათ. 10 მინ. |
| | 10 საათზე 23 მინუტზე | | 11 საათ. 32 მინ. |
| | 11 საათზე 35 მინუტზე | შუადღისას | 12 საათ. 40 მინ. |
| შ უ ა დ ღ ი ს ა ს | 2 საათზე 42 მინუტზე | | 4 საათ. 25 მინ. |
| | 4 საათზე 28 მინუტზე | | 5 საათ. 35 მინ. |
| | 5 საათზე 39 მინუტზე | | 6 საათ. 45 მინ. |
| ღ ა მ ი ს ა | 6 საათზე 48 მინუტზე | ღ ა მ ი ს ა | 8 საათ. 20 მინ. |

ბილეთები გაიყიდება მარტო ტფილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელად. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო იმ საგანგებო მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს მატარებელში იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში 600, ამისათვის მოგზაურებს არ შეუძლიათ საყვედური განაცხადონ, როცა ის ადგილები მთლად დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სხვა პოეზდს.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოდ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის მეიდანზე, ფოჩტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრავს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის ათს საათამდინ.

ის პირნი, რომელნიც ისურვებენ საგანგებო მატარებლებით წამოსვლას 30 სეკტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთიდამ თბილისში, იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში.

(3—1)


Довв. ценвур. Тифлисъ, 24 Сентября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. მართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.